

სს იშბანკი საქართველო

პილარ 3 ანგარიშგება

2018

სარჩევი

პილარ 3 ანგარიშგების წარდგენა	3
მენეჯმენტის პასუხისმგებლობა	3
ძირითადი მაჩვენებლები	4
აქციონერის სტრუქტურა	5
კორპორატიული მართვებობა	9
რისკების მართვა	17
ანაზრაურება	25

პილარ 3 ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება ეფუძნება ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის პილარ 3-ის გამჭვირვალობის მოთხოვნებსა და ევროკავშირის N 575/2013 დირექტივის მოთხოვნებს, რომლის შესაბამისი მოთხოვნები შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ბანკის დირექტორატი ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით, წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის აპრილის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს..

ძირითადი მაჩვენებლები

	2018	2017
საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)		
ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით		
ძირითადი პირველადი კაპიტალი	74,490,038	33,798,891
პირველადი კაპიტალი	74,490,038	33,798,891
საზედამხედველო კაპიტალი	77,883,632	77,346,318
რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (მოცულობა, ლარი)		
რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	290,138,010	176,975,780
კაპიტალის კოეფიციენტები		
ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით		
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ($\geq 9.31\%$)	25.67%	19.10%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ($\geq 11.59\%$)	25.67%	19.10%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი ($\geq 20.38\%$)	26.84%	43.70%
მოგება		
მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	6.37%	6.81%
მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	2.72%	3.80%
საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	0.89%	0.86%
წმინდა საპროცენტო მარჟა	3.65%	3.01%
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	0.63%	1.10%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	2.73%	9.74%
აქტივების ხარისხი		
უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	3.26%	3.69%
სშდრ / მთლიან სესხებთან	3.64%	3.27%
უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან	68.77%	83.61%
უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	64.91%	80.23%
მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	0.48%	-14.22%
ლიკვიდობა		
ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	22.10%	25.95%
უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	92.55%	94.47%
მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	4.60%	6.28%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი		
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	68,091,162	56,246,205
ფულის წმინდა გადინება (სულ)	46,919,640	22,317,977
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	145.12%	252.02%

ძირითადი მაჩვენებლები (გაგრძელება)

რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	ლარებით	
	2018	2017
საკრედიტო რისკი მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	271,487,509	166,594,682
საბალანსო ელემენტები	229,164,982	157,281,478
მათ შორის: ზღვრული დაქვითვის მეთოდს დაქვემდებარებული რისკის პოზიციები, რომლებიც არ იქვეთება კაპიტალიდან (რომლებიც იწონება 250%-ში)	-	-
გარესაბალანსო ელემენტები	42,322,527	9,313,205
სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკი *		
კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	-	-
საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	346,493	2,495,223
საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	18,304,008	7,885,874
სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	290,138,010	176,975,780

* აღნიშნული ველი ამოღებულია, რაც გამოწვეულია რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების დათვლის მეთოდოლოგიის ცვლილებით, კერძოდ "სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები" აღარ მონაწილეობს რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების გაანგარიშებაში. აღნიშნული აისახა კაპიტალის ბუფერის მოთხოვნებში პილარ 2-ის ფარგლებში. იხ. ცვლილებების შესახებ ოფიციალური პრეს რელიზი შემდეგ ბმულზე:

<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3248>

აქციონერის სტრუქტურა

სს „თურქეთის იშ ბანკი“ ბათუმის ფილიალი (შემდგომში „ფილიალი“) დარეგისტრირდა 2012 წლის 13 ივლისს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (ლიცენზიის #908), როგორც თურქეთში 1924 წელს დაფუძნებული უცხოური ბანკის, „Türkiye İş Bankası Anonim Şirketi-ის“ (შემდგომში „მშობელი ბანკი“ ან „მფლობელი“) ფილიალი. 2015 წლის 1 აგვისტოს მოხდა ფილიალის რეორგანიზაცია ბანკად - სს „იშბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“), (ლიცენზიის # 368). ბანკი დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი არის 404496611.

ბანკი ნაკლებად არის დამოკიდებული მშობელ ბანკზე, თუმცა თავისი საქმიანობით აკმაყოფილებს მშობელი ბანკის მოთხოვნებს.

ბანკის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა იშბანკის წევრების დამატებითი საპენსიო უზრუნველყოფის ფონდი. აქციონერი ფლობს ბანკის 100%-იან წილს.

სს „თურქეთის იშ ბანკი“ (აქციონერი) მოკლე მიმოხილვა

მშობელი ბანკი არის უმსხვილესი კერძო ბანკი თურქეთში მთლიანი აქტივებით, სესხებითა და დეპოზიტების მოცულობით. მთლიანი აქტივების მოცულობა 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 78,965 მილიონ დოლარს, საიდანაც 62,5% მოდის სასესხო აქტივებზე. აქციონერის სტრუქტურა შემდეგია:

იშბანკის საპენსიო ფონდი – 40.47%;

ათათურქის აქციები - 28.09%;

თავისუფალ მიმოქცევაში მყოფი აქციები – 31.44%.

აქციები კოტირებულია სტამბულის საფონდო ბირჟაზე და ასევე ივაჭრება ლონდონის საფონდო ბირჟაზე GDR-ების ფორმით.

ბანკის აქციონერი წარმოდგენილია მსოფლიოს 12 ქვეყანაში 3 შვილობილით (საქართველო, გერმანია, რუსეთი) და 22 საერთაშორისო ფილიალით (ჩრდილოეთ კვიპროსი; ლონდონი, დიდი ბრიტანეთი; მანამა, ბაჰრეინი; არბილი და ბაღდადი, ერაყი; პრიშტინა და პრიზრენი, კოსოვო), იშბანკი გერმანია წარმოდგენილია 10 ფილიალით გერმანიაში და თითო ფილიალით: ამსტერდამში, ჰოლანდია; პარიზში, საფრანგეთი; ასევე იშბანკს აქვს წარმომადგენლობა შანხაიში, ჩინეთი და კაიროში, ეგვიპტე.

აქციონერთა უფლებები და მოვალეობები

აქციონერთა უფლებები და მოვალეობები დეტალურად გაწერილია ბანკის წესდებაში, რომელიც იცავს ბანკის, როგორც დამოუკიდებელი ბიზნეს სუბიექტის, ასევე აქციონერის ინტერესებს. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ბანკის მმართველობის უმაღლეს ორგანოს, რომელიც შეიძლება იყოს მორიგი და რიგგარეშე. მორიგი კრება მოიწვევა წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში. რიგგარეშე კრების მოწვევაზე გადაწყვეტილებას იღებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.

ბანკის აქციონერს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს სრული და დროული ინფორმაცია საერთო კრების ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, აგრეთვე საკმარისი ინფორმაცია კრებაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;
- ბ) მოთხოვოს განმარტება დირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეულ პუნქტზე; ასევე მოითხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც გონივრულად აუცილებელია ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, თუ მოთხოვნა განმარტების შესახებ წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, ის უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნას დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად;
- გ) მიიღოს მონაწილეობა პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში, გამოთქვას აზრი განსახილველ საკითხებზე, დასვას შეკითხვები და წამოაყენოს წინადადებები;
- დ) მიიღოს მონაწილეობა ბანკის მართვაში აქციონერთა საერთო კრებაზე მონაწილეობის მიღების გზით;
- ე) შეიძინოს ან/და გაასხვისოს აქციები; მიიღოს დივიდენდები აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე;
- ვ) მოთხოვოს განმარტება დირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეულ პუნქტზე;
- ზ) გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილება (კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის განმავლობაში);
- თ) გაეცნოს ბანკის წლიურ, ნახევარწლიურ და მიმდინარე ანგარიშებს, ასევე ინფორმაციებს მნიშვნელოვანი შენაძენისა და ბანკის მმართველი ორგანოს ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ;
- ი) მმართველი ორგანოს წევრებისაგან მიიღოს ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება ბანკის მმართველი ორგანოების გასული, მიმდინარე და სამიზნე საქმიანობის, მნიშვნელოვანი აქტივების შეძენისა და გასხვისების, ასევე მისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე. უარი ინფორმაციის ან ახსნა-განმარტების მიცემაზე შეიძლება ეთქვას მხოლოდ იმ მოტივით, რომ ეს საზიანოა ბანკის კომერციული ინტერესებისთვის, რაც შესაბამისად უნდა იყოს დასაბუთებული;
- კ) ბანკის ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი მესამე პირის მიმართ ბანკის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, თუ ბანკმა არ განახორციელა თავისი მოთხოვნა. აღნიშნული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბანკის აქციათა ხუთი ან მეტი პროცენტის მფლობელ აქციონერს ასევე უფლება აქვს:

- ა) მოითხოვოს სამეურნეო მოქმედებების ან მოტივანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება; საერთო კრების მიერ ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილების შემთხვევაში, ანალოგიური მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. შემოწმებას ახორციელებს აქციონერის მიერ შერჩეული შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტი. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სპეციალურ შემოწმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს ბანკი;
- ბ) მოითხოვოს, ბანკის ინტერესების შესაბამისად, რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული. თუ ბანკის დირექტორები, მოთხოვნიდან ოცი დღის განმავლობაში, არ მოიწვევენ კრებას, აქციონერს შეუძლია ამ მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს;
- გ) მოითხოვოს კრების დღის წესრიგში საკითხის შეტანა; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოითხოვოს აგრეთვე, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაცია და ანგარიში;
- დ) მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლი ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ.

აქციონერს არა აქვს უფლება ხმა მისცეს იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგების დადებას ან მისი ანგარიშის დამტკიცებას.

თუ აქციონერს მიაჩნია, რომ რაიმე მიზეზის გამო ირღვევა მისი, როგორც აქციონერის უფლება, ის უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მიიღოს ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად ან წერილობით მიაწოდოს აქციონერს დასაბუთებული პასუხი მის განცხადებაზე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ბანკის აქციონერებს აქვთ მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული და ბანკის შიდა ნორმატიული აქტებით გასაზღვრული სხვა უფლებები.

ჩვეულებრივ აქციონერები თავიანთ უფლებებს (ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება) ახორციელებენ საერთო კრებაზე.

საერთო კრება უფლებამოსილია:

- ა) შეცვალოს წესდება, გაზარდოს ან შეამციროს საწესდებო კაპიტალი და გადაწყვიტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი;
- ბ) მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის, გაყოფის ან რეორგანიზაციის შესახებ;
- გ) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის მომატების დროს, ასევე აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების დროს;
- დ) მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ ან, როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- ე) აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლობა სამეთვალყურეო საბჭოში ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან ნებისმიერ დროს მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე;
- ვ) დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების ანგარიში;
- ზ) გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
- თ) აირჩიოს აუდიტორი;
- ი) მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლოს პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- კ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების აქტივების შეძენის, გასხვისების გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების), რომელთა ღირებულებაც შეადგენს საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50%-ზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ საწარმოო საქმიანობას;
- ლ) მიიღოს გადაწყვეტილებები საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

აქციონერის სტრუქტურა (გაგრძელება)

ბანკის აქციონერი არის ერთ-ერთი უმსხვილესი კონგლომერატი თურქეთში. მისი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია საბანკო და სხვა ფინანსურ მომსახურებასთან, რომელიც მოიცავს დაზღვევას, კერძო საპენსიო ფონდს, აქტივების მართვას, ლიზინგსა და ფაქტორინგს, საინვესტიციო საბანკო და საბროკერო მომსახურებებს, ხოლო არაპროფილური საქმიანობა დაკავშირებულია მინის წარმოებასთან.

მინის წარმოება

შიშეჯამის მინის ტარის ჯგუფი აწარმოებს ექსკლუზიური დიზაინის შუშის ტარას სხვადასხვა მოცულობით, ფერით. შიშეჯამი აფართოებს წარმოებას მეზობელ ქვეყნებში. მისი პირველი ინვესტიცია საზღვარგარეთ იყო ქსნის მინის ქარხნის შეძენა 1997 წელს. შიშეჯამის 66.30%-ს ფლობს სს „თურქეთის იშ ბანკი“. საქართველოსა და თურქეთის გარდა ჯგუფს საწარმოები აქვს 11 ქვეყანაში (გერმანია, იტალია, სლოვაკეთი, რუმინეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, უკრაინა, რუსეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ეგვიპტე, ინდოეთი).

ფინანსური მომსახურება

კომპანიის დასახელება	სექტორი	ბანკის პირდაპირი წილი(%)	რისკის ჯგუფის წილი (%)	აქტივები (USD 000) (3)	სააქციო კაპიტალი (USD 000)(3)
Türkiye Sınai Kalkınma Bankası A.Ş.	საინვესტიციო ბანკი	41.44	50.92	7,319,877	656,256
İşbank AG	ბანკი	100.00	100.00	2,069,192	232,694
JSC İşbank	ბანკი	100.00	100.00	199,968	57,941
JSC Isbank Georgia	ბანკი	100.00	100.00	95,738	28,336
Anadolu Anonim Türk Sigorta Şirketi	დაზღვევა	-	64.31	1,338,597	267,057
Anadolu Hayat Emeklilik A.Ş.	სიცოცხლის დაზღვევა და საპენსიო ფონდი	62.00	83.00	3,334,853	143,005
Milli Reasürans T.A.Ş.	გადაზღვევა	76.64	77.06	720,761	370,419
İş Yatırım Menkul Değerler A.Ş. (4)	საბროკერო საქმიანობა	65.65	70.69	1,285,513	168,550
Yatırım Finansman Menkul Değerler A.Ş. (4)	საბროკერო საქმიანობა	-	98.42	147,742	15,267
İş Yatırım Ortaklığı A.Ş.	საინვესტიციო საქმიანობა	-	38.66	38,380	38,295
İş Portföy Yönetimi A.Ş.	პორტფელის მართვა	-	100.00	17,712	16,570
İş Finansal Kiralama A.Ş. (4)	ლიზინგი	27.79	58.29	1,540,213	179,915
İş Faktoring A.Ş.	ფაქტორინგი	-	100.00	370,632	46,592
İş Gayrimenkul Yatırım Ortaklığı A.Ş.	უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანია	47.44	63.24	984,399	630,530
İş Girişim Sermayesi Yatırım Ortaklığı A.Ş.	საინვესტიციო საქმიანობა	-	57.67	43,898	43,573
Efes Varlık Yönetim A.Ş.	აქტივების მართვა	-	100.00	35,840	5,278
TOTAL				19,543,315	2,900,278

(1) 30.09. 2018-ის მდგომარეობით

(2) კონსოლიდირებული თანხა

მშობელი კომპანიის

საერთაშორისო რეიტინგი შემდეგია:

S&P Global

FC Issuer Credit	B / Negative / B
LC Issuer Credit	B+ / Negative / B
Turkish National Scale	trA+ / trA-1

FitchRatings

FC Issuer Default Rating	B+ / Negative / B
LC Issuer Default Rating	BB- / Negative / B
National Long Term Rating	A+(tur) / Stable
Viability Rating	B+
Support Rating	4
Support Rating Floor	B


Moody's

FC Bank Deposit	B2 / Negative/ Not-Prime
LC Bank Deposit	B2 /Negative/ Not-Prime
FC Issuer	B2 / Negative

* გრძელვადიანი / ხედევა / მოკლევადიანი

კორპორატიული მმართველობა

iSBANK



ორგანიზაციული სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:

- გაუწიოს კონტროლი დირექტორების საქმიანობას;
- ნებისმიერ დროს მოითხოვოს დირექტორებისაგან ბანკის საქმიანობის ანგარიში, მეკავშირე საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით;
- გააკონტროლოს და შეამოწმოს ბანკის საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, ბანკის სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა და მას ეს შეუძლია დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;
- მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება, თუ ამას ბანკის აუცილებლობა მოითხოვს;
- შეამოწმოს წლიური ანგარიშები. მოგების განაწილების წინადადება და ინფორმაცია მდგომარეობის შესახებ და ამის შესახებ მოახსენოს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული ფინანსური წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის თუ რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვიეს თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;
- დანიშნოს და ნებისმიერ დროს გამოიწვიოს დირექტორები, ასევე დადოს და შეწყვიტოს მათთან ხელშეკრულებები; დანიშნოს და ნებისმიერ დროს გამოიწვიოს აუდიტის კომიტეტის წევრები.
- დაამტკიცოს ბანკის სტრუქტურა და ბანკის შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- წარმოადგინოს ბანკი დირექტორებთან გარიგებების შესრულებისას, აგრეთვე საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების სახელით მათ წინააღმდეგ წარმართოს სამართლებრივი დავა.
- სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, თუ საკითხი შეეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი.
- განსაზღვროს ბანკის ხედვა და მისია;
- განსაზღვროს და განახორციელოს ბანკის ინვესტიციების, ფინანსების, აღრიცხვის, პერსონალის, ხელფასისა და ანაზღაურების და დივიდენდის პოლიტიკის მონიტორინგი.

საქმიანობა, რომელიც მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს:

- ა) საზოგადოების აქციების/წილების შესყიდვა ან გაყიდვა, ნებისმიერი საზოგადოების კაპიტალის გაზრდაში მონაწილეობა, საკუთარ აქციებთან/წილებთან დაკავშირებით შეზღუდვების განხორციელებისთვის უფლების მიცემა;
- ბ) ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;
- გ) წლიური ბიუჯეტის დამტკიცება და გრძელვადიანი ვალდებულებების აღება;
- დ) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება ან გაცემა (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებები);
- ე) სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ვ) სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას. ამგვარი უზრუნველყოფა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების მიმართ დაუშვებელია;
- ზ) ახალი სახის საბანკო საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა;
- თ) სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
- ი) ხელმძღვანელ პირებისათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის გაცემის უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და აქციონერთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;
- კ) სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- ლ) საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;
- მ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბანკის მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა;
- ნ) ბანკის მიერ საკრედიტო რესურსებზე და დეპოზიტებზე გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება;
- ო) ბანკის სასარგებლოდ უფლების დათმობა, ვალის პატიება, საჭიროებისას არბიტრაჟისთვის მიმართვა და მორიგება მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- პ) ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მიმართ სარჩელის შეტანა, ბანკის მიერ სასამართლო დავის დროს ან სანქციის დაკისრებისას განსაზღვრული მოქმედების განსაზღვრა;
- ჟ) სანგბაროვო მოწმობების, ლიცენზიების, მარეგულირებელ/სახელმწიფო დაწესებულებებთან ხელშეკრულებების ხელმოწერა, შეცვლა, განახლება და შეწყვეტა;
- რ) კალენდარული წლის განმავლობაში ისეთი ინვესტიციების განხორციელება, რომლებიც აღემატება წინა კალენდარული წლის საკუთარი კაპიტალის 0.1%-ს; ინვესტიციების განხორციელება, რომლის მთლიანი თანხა აღემატება წინა წლის საკუთარი კაპიტალის 0.5%-ს.
- ს) კალენდარული წლის განმავლობაში საქონლის და მომსახურების შეძენა, რომლის ღირებულება აღემატება წინა კალენდარული წლის საკუთარი კაპიტალის 0.05%-ს, ან თუ შესაძენი საქონლის და მომსახურების ღირებულება აღემატება წინა წლის საკუთარი კაპიტალის 0.25%-ს.
- ტ) საგადასახადო ჯარიმების და ადმინისტრაციული ჯარიმების გადახდა.
- უ) დეპარტამენტის ხელმძღვანელების ან მათთან გათანაბრებული პირების დანიშვნა, მათი ფინანსური და არაფინანსური უფლებების განსაზღვრა და მათი ანაზღაურებისა და დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
- ფ) გადაწყვეტილების მიღება იმ საკითხებზე, რომლებიც კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების შესაბამისად არ მიეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორთა საბჭოს კომპეტენციას.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს ასევე გადაწყვეტილებებს კანონმდებლობით, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით და ბანკის შიდა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საბჭოს წევრებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. კერძოდ ისინი ვალდებული არიან იზრუნონ ბანკზე და მის სტაბილურობაზე ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სადად მოაზროვნე პირი და იმოქმედონ იმ რწმენით, რომ მათი ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია ბანკისათვის.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების განათლება და გამოცდილება

1. მურათ ბილგიჩი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბატონ მურათ ბილგიჩს აქვს ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის ხარისხი, ის ასევე ფლობს ბირმინგემის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხს, საბანკო და საფინანსო მოდულის მიმართულებით. ბატონმა ბილგიჩმა კარიერა დაიწყო 1990 წელს თურქეთის იშბანკში აუდიტ ინსპექტორის თანამდებობაზე. 1999 წლიდან იგი მუშაობდა მენეჯერის პოზიციაზე კორპორატიული სესხების დეპარტამენტში, მოგვიანებით კი რეგიონალურ მენეჯერად. ბატონი ბილგიჩი 2008 წელს დაწინაურდა კორპორატიული სესხების დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე, 2005 წლიდან თურქეთის ინდუსტრიული განვითარების ბანკის (TSKB) დირექტორთა საბჭოს წევრია. გარდა ამისა, იგი იყო შიშეჯამის დირექტორთა საბჭოს წევრი 2009-2012 წლებში. ასევე, 2012 წლიდან ბატონი ბილგიჩი არის იშბანკი რუსეთისა და იშბანკი გერმანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2015 წლის 29 ივნისიდან ბატონი მურათ ბილგიჩი არის სს „იშბანკი საქართველო“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2016 წლის 21 დეკემბრიდან კი დაინიშნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

2. მეჰმეთ შენჯანი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ბატონმა მეჰმეთ შენჯანმა დაამთავრა სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მართვის ფაკულტეტი. მისი კარიერა დაიწყო 1988 წელს თურქეთის იშბანკში, გალათას ფილიალში ოფიცრის პოზიციაზე. 1989 წლიდან ის მუშაობდა აუდიტ ინსპექტორის თანამდებობაზე. 1997 წელს ბატონი შენჯანი დაინიშნა მენეჯერის პოზიციაზე ბურსას ფილიალში. შემდგომ წლებში ის მართავდა ანთაკის, გეზეს და დენიზლის ფილიალებს. 2011 წელს ბატონი შენჯანი დაინიშნა ბურსას კორპორატიული ფილიალის მენეჯერად, ხოლო 2016 წელს ანკარის კორპორატიული ფილიალის მენეჯერად. 2017 წლიდან ბატონი მეჰმეთ შენჯანი თურქეთის იშბანკის გენერალური დირექტორის მოადგილედ დაწინაურდა. 2017 წლის აგვისტოდან იგი არის სს „იშბანკი საქართველო“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

3. ჯან იუჯელი, წევრი

ბატონმა ჯან იუჯელმა 1999 წელს დაამთავრა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებების განხრით.

1999 წელს მან თურქეთის იშბანკში აუდიტორის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა, სადაც მუშაობდა 8 წლის განმავლობაში. ამის შემდეგ, იგი მუშაობდა მცირე და საშუალო ბიზნესის სესხების დეპარტამენტში მენეჯერის პოზიციაზე. 2009 წელს ბატონი იუჯელი კორპორატიული სესხების ანდერაიტინგის განყოფილებაში გადავიდა, ხოლო 2016 წელს გახდა კორპორატიული სესხების ანდერაიტინგის დეპარტამენტის უფროსი.

2016 წლის 21 დეკემბრიდან ბატონი ჯან იუჯელი არის სს „იშბანკი საქართველო“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

4. იავუზ ერგინი, წევრი

ბატონ იავუზ ერგინს აქვს ულუდაგის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი და ლუიზიანას უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი. ბატონმა ერგინმა კარიერა 1983 წელს ანკარაში, „სიტიბანკში“ მენეჯერის პოზიციაზე დაიწყო. 1986 წლიდან იგი მუშაობდა „ფედერალურ საკრედიტო ბანკში“ (**Federal Home Loan Bank**) აუდიტ ინსპექტორის პოზიციაზე. ერთი წლის შემდეგ იგი შეუერთდა „ნიუ-იორკის ბანკს“ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის პოზიციაზე. 1990 წელს ბატონი ერგინი „ფედომინ ინტერნეიშენალის“ აღმასრულებელი დირექტორი გახდა. 1992 წლიდან ბატონი ერგინი სტამბულის „სიტიბანკში“ გადავიდა ვიცე პრეზიდენტად და აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობდა 6 წლის განმავლობაში. 1998 წელს იგი გახდა ჟენევის BCP ბანკის გენერალური დირექტორი. 2010 წლიდან ბატონი ერგინი შეუერთდა თურქეთის იშბანკს მრეწველის პოზიციაზე.

2015 წლის 29 ივნისის შემდეგ ბატონი ერგინი არის სს „იშბანკი საქართველო“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

5. ონურ ქუთუქი, წევრი

ბატონმა ონურ ქუთუქმა 1998 წელს დაამთავრა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის სტატისტიკის ფაკულტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი. ბატონმა ქუთუქმა კარიერა დაიწყო 1998 წელს ანკარის უნივერსიტეტში მკვლევარის /მასწავლებლის თანაშემწედ. 2000 წელს იგი შეუერთდა თურქეთის იშბანკის გუნდს, როგორც ტრენინგის განყოფილების სპეციალისტი. 2006 წელს ბატონი ქუთუქი გადავიდა ბაჰრეინის ფილიალში, როგორც უფროსი სპეციალისტი, საკრედიტო ანდერაიტინგის განყოფილებაში, 2 წლის შემდეგ კი ის გადავიდა ხაზინის დეპარტამენტში უფროსი დილერის პოზიციაზე, ხოლო 2011 წლიდან დაინიშნა ხაზინის დეპარტამენტის უფროსად. 2014 წელს, ბატონი ონურ ქუთუქი გადავიდა თურქეთის იშბანკის სათაო ოფისში გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. 2016 წელს იგი საზღვარგარეთის ფილიალების მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილე გახდა, ხოლო 2018 წელს იგი დაწინაურდა უფროსის პოზიციაზე.

2018 წლის 20 ივნისიდან ბატონი ონურ ქუთუქი არის სს „იშბანკი საქართველო“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

6. სეზგინ ლულე, წევრი

ბატონმა სეზგინ ლულემ 1998 წელს დაამთავრა ბოგაზიჩის სტამბულის უნივერსიტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი სამრეწველო ინჟინერიაში. მას ასევე აქვს ბირმინგემის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი. 1999 წელს, ბატონი ლულე შეუერთდა თურქეთის იშბანკის გუნდს შიდა აუდიტორის პოზიციაზე. 2006 წლიდან 2009 წლამდე მუშაობდა ბანკის მომხმარებელთა ცენტრის ტრანსფორმაციის პროექტის მენეჯერად. 2009 წელს კი გახდა ცვლილების მართვის დეპარტამენტის განყოფილების მენეჯერი. 2011 წელს ბატონმა ლულემ გადაინაცვლა საწარმოო არქიტექტურის დეპარტამენტში განყოფილების მენეჯერის პოზიციაზე. 2014-2016 წლებში იგი იყო ციფრული ინოვაციების გუნდის ლიდერი და პარალელურად, 2017 წლამდე მუშაობდა ბანკის ტრანსფორმაციის პროგრამის მთავარი არქიტექტორის თანამდებობაზე. 2017 წლიდან, ბატონი ლულე დაინიშნა კომპანიის არქიტექტურის სამმართველოს უფროსად.

2018 წლის 20 ივნისიდან ბატონი სეზგინ ლულე არის სს „იშბანკი საქართველო“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

7. ჰუსეინ სერდარ იუჯელი, წევრი

ბატონმა ჰუსეინ სერდარ იუჯელმა დაამთავრა მარმარის უნივერსიტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში.

ბატონმა იუჯელმა კარიერა დაიწყო 1996 წელს თურქეთის იშბანკში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის დეპარტამენტში ოფიცრის თანამდებობაზე. 1999 წელს კი ბატონი სერდარ იუჯელი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის დეპარტამენტში საზღვარგარეთის საბანკო საქმიანობის განყოფილების სპეციალისტი გახდა. 2008 წელს იგი გადავიდა მენეჯერის თანამდებობაზე ამავე განყოფილებაში. 2013 წლიდან ბატონი იუჯელი მუშაობს შვილობილი კომპანიების მართვის დეპარტამენტში, 2016 წლიდან კი დაწინაურდა ამავე განყოფილების უფროსად.

2018 წლის 20 ივნისიდან ბატონი ჰუსეინ სერდარ იუჯელი არის სს „იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭოს მოვალეობები და კომპეტენცია:

- ა) განახორციელოს ბანკის მიმდინარე საქმიანობა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული შიდა პოლიტიკისა და ბიზნეს გეგმის შესაბამისად;
- ბ) მოამზადოს შეთავაზებები, გადაწყვეტილებების პროექტები, ანგარიშები და სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს მიერ მოთხოვნილი ან წარსადგენი ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია;
- გ) მიიღოს გადაწყვეტილებები თანამშრომლების შერჩევის, გათავისუფლების და ანაზღაურების შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ დირექტორთა საბჭომ უნდა გაითვალისწინოს სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები ბანკის ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებით.
- დ) მოამზადოს და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად მიმდინარე წლის ბიზნეს-გეგმა არაუგვიანეს წინა ფინანსური წლის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში;
- ე) ზედამხედველობა გაუწიოს ყველა ფილიალს, სტრუქტურულ ერთეულს და დეპარტამენტს და უზრუნველყოს რომ ბანკის მიერ კლიენტებისათვის სათანადო სერვისის მიწოდება;
- ვ) შეიმუშავოს და მოამზადოს ბანკის ნებისმიერი და ყველა სახის წესები და შიდა რეგულაციები და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად;
- ზ) მიაწოდოს ინფორმაცია ეროვნულ ბანკს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- თ) მიაწოდოს კომპანიის თანამშრომლებს ხელმოწერის უფლებამოსილება;
- ი) გასცეს რწმუნებულება კომპანიის თანამშრომლებსა და მესამე პირებზე როგორც ზოგადი ასევე სპეციალური ხასიათის;
- კ) განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოს და საერთო კრების მიერ დავალდებული ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა სახის მოქმედება.
- ლ) განახორციელოს ბანკის მიერ გაცემული კრედიტების უზრუნველყოფის სახით, თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებს შიგნით მდებარე, უძრავი ქონების რეგისტრაციის სამმართველოებში რეგისტრირებული უძრავი ქონების, ბანკის სასარგებლოდ იპოთეკის დატვირთვის შესაძლებლობასთან ერთად, მანამდე დატვირთული იპოთეკების მოხსნის უზრუნველსაყოფად, ბანკის გენერალური დირექტორის და გენერალური დირექტორის მოადგილის ერთობლივი ხელმოწერით, მესამე პირებისთვის მინდობილობის მიცემის საკითხში უფლებამოსილების მინიჭება.

დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა

1. ოზან გურ, გენერალური დირექტორი

ბატონმა ოზან გურმა დაამთავრა შრომის, ეკონომიკისა და ურთიერთობების ფაკულტეტი ანკარის უნივერსიტეტში, ხოლო მოგვიანებით მოიპოვა მაგისტრის ხარისხი სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

ბატონი ოზან გურის კარიერა თურქეთის იშბანკში 1999 წლიდან დაიწყო. თავდაპირველად, იგი 9 წლის განმავლობაში შიდა აუდიტორის პოზიციაზე მუშაობდა. ამის შემდეგ, კი ბატონმა გურმა გაყიდვების მიმართულებით გააგრძელა მუშაობა. 2008 წელს ის გადავიდა საცალო დაკრედიტების დეპარტამენტში, როგორც დირექტორის მოადგილე, ხოლო შემდგომ ის გახდა პროექტის მენეჯერი. ბატონ გური ასევე მუშაობდა საბარათე გადახდების სისტემებში და ანდერაითინგის დეპარტამენტში. 2014 წლიდან იგი მოსკოვში, სს „იშბანკი რუსეთში“, ხელმძღვანელობდა საცალო დაკრედიტების დეპარტამენტს.

2016 წლის მაისიდან ბატონი ოზან გური არის სს „იშბანკი საქართველო“-ს გენერალური დირექტორი.

2. მეჰმეთ იჰსან აქჰუნ, გენერალური დირექტორის მოადგილე

ბატონმა მეჰმეთ იჰსან აქჰუნმა დაამთავრა ხმელთაშუაზღვის აღმოსავლური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. იგი თურქეთის იშბანკს 1999 წელს შეუერთდა, 2004 წლამდე მუშაობდა საერთაშორისო საბანკო დეპარტამენტში სპეციალისტის პოზიციაზე. 2004 წელს კი გადაინაცვლა ბაჰრეინის ფილიალში ხაზინის სპეციალისტად, 2014 წლიდან ბატონმა მეჰმეთ იჰსან აქჰუნმა მუშაობა დაიწყო თურქეთის იშბანკის თბილისის ფილიალში, ხოლო 2015 წლიდან ის ხაზინას ხელმძღვანელობს.

2016 წლის დეკემბერში ბატონი მეჰმეთ იჰსან აქჰუნი გახდა სს „იშბანკი საქართველო“-ს დირექტორთა საბჭოს წევრი, ხოლო 2017 წლის მაისიდან იგი მუშაობს გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიციაზე.

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

3.თეიმურაზ პირმისაშვილი, დირექტორი

ბატონ თეიმურაზ პირმისაშვილს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ფლობს ბაკალავრის დიპლომს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

ბატონმა თეიმურაზ პირმისაშვილმა კარიერა 2002 წელს ბრიტანეთის საელჩოში დაიწყო. 2008 წლიდან ის მუშაობდა სს „თიბისი ბანკში“ კორპორატიული დაკრედიტების განყოფილებაში. 2016 წელს ბატონი პირმისაშვილი შეუერთდა სს „იშბანკი საქართველო“-ს გუნდს კორპორატიული გაყიდვების ხელმძღვანელის პოზიციაზე, ხოლო 2017 წელს საკრედიტო გაყიდვებისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსად დაწინაურდა. 2017 წლის მაისში ბატონი თეიმურაზ პირმისაშვილი გახდა სს „იშბანკი საქართველო“-ს დირექტორთა საბჭოს წევრი.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა იმართება წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ. საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ბანკის ძირითად სტრატეგიაზე და აკონტროლებს დასახულ მიზნებს.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის შედეგებზე. ძირითადი გადაწყვეტილებები მიიღება ალკო-ს მიერ.

დირექტორთა საბჭო კონტროლდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემდეგი კომიტეტების მეშვეობით:

- რისკების კომიტეტი;
- ანაზღაურების კომიტეტი;
- საკრედიტო კომიტეტი;
- აუდიტის კომიტეტი

ინფორმაცია კომიტეტების თავჯდომარეების შესახებ

ბატონი იაგუზ ერგინი იკავებს სს „იშბანკი საქართველო“-ს **აუდიტის კომიტეტის თავჯდომარის პოზიციას**. როგორც აუდიტის კომიტეტის თავჯდომარე, მისი პასუხისმგებლობების სფერო მოიცავს აუდიტის კომიტეტის მიერ განხილულ ყველა საკითხს. ამასთან, იგი გახლავთ საკრედიტო და ანაზღაურების კომიტეტების წევრი.

ბატონი მეჰმეთ შენჯანი გახლავთ სს „იშბანკი საქართველო“-ს **რისკების კომიტეტის თავჯდომარე**, მისი პასუხისმგებლობის სფერო მოიცავს ბანკის შიდა კონტროლების, რისკების მართვის ეფექტურობის გაუმჯობესებას. ბატონი შენჯანი ასევე **ანაზღაურების კომიტეტის თავჯდომარეა**, რაც გულისხმობს სახელფასო ფონდთან და სამოტივაციო სისტემებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ბატონი ჯან იუჯელი იკავებს სს „იშბანკი საქართველო“-ს **საკრედიტო კომიტეტის თავჯდომარის თანამდებობას**, მისი პასუხისმგებლობის სფერო მოიცავს საკრედიტო პოლიტიკის დამტკიცებას, მართვას, საკრედიტო ლიმიტების განსაზღვრას. ბატონი ჯანი ასევე არის აუდიტის კომიტეტის წევრი.

რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის შიდა კონტროლების, აუდიტისა და რისკების მართვის ეფექტურობის გაუმჯობესებაზე, დირექტორთა საბჭოს საზედამხედველო და მენეჯერული ფუნქციების აღსრულებაზე. კომიტეტი თანამშრომლობს ბანკის, აუდიტორული ორგანიზაციების, ბანკის აღმასრულებელი ორგანოების, მენეჯმენტისა და კონტროლის ორგანოების, შიდა აუდიტის, შიდა კონტროლის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის კონტროლის, ფინანსური მონიტორინგის, ანალიზის, დაგეგმვის, ანგარიშგების და რისკის მართვის ერთეულების, ანგარიშსწორების, ბუღალტერიისა და სარეგისტრაციო ერთეულების და, საჭიროების შემთხვევაში, ბანკის სხვა განყოფილებებთან, სამუშაო ჯგუფებთან და ბანკის მომწოდებლებთან ერთად. კომიტეტი მოქმედებს ბანკის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში

ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია თანამშრომელთა კეთილგანწყობის ამაღლებაზე, მენეჯერების კვალიფიკაციის კონტროლსა და გაუმჯობესებაზე, სახელფასო ფონდთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე და სხვა.

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

საკრედიტო კომიტეტი პასუხისმგებელია საკრედიტო პოლიტიკის შექმნაზე, განვითარებასა და შეთავაზებაზე ბანკის შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსათვის დასადასტურებლად. კომიტეტი განსაზღვრავს ლიმიტებს:

- მსესხებლებისათვის – იურიდიული და ფიზიკური პირები
- საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისათვის
- ადგენს, ადასტურებს ან აუქმებს ლიმიტებს ბანკებთან ფინანსურ ბაზრებზე ოპერაციებისათვის
- ადგენს საკრედიტო რისკის ლიმიტებს ფასიან ქაღალდებსა და სხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციისათვის

საკრედიტო კომიტეტი აკონტროლებს ბანკის შესაბამისობას დამტკიცებულ ლიმიტებთან. განიხილავს სასესიო განაცხადებს, იღებს გადაწყვეტილებას ვალის რესტრუქტურირებაზე, ჩამოწერასა და ყველა სხვა შესაძლო ფაქტზე, რომელიც დაკავშირებულია ბანკის საკრედიტო რისკთან.

აუდიტის კომიტეტი არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც აკონტროლებს ბანკის აქტივობას ყველა მიმართულებით, თითოეული განყოფილების დონეზე. კომიტეტი პასუხისმგებელია პროცესების გაუმჯობესებაზე ყველა შესაძლო რისკის მინიშნულამდე დაყვანისათვის. აუდიტის კომიტეტი პირდაპირ დაქვემდებარებაშია სამეთვალყურეო საბჭოსთან.

გარდა ზემოთ აღნიშნული კომიტეტებისა, ბანკს შექმნილი აქვს რამდენიმე სხვა კომიტეტი პროცესების უფრო ეფექტური კონტროლისათვის. ესენია: შესყიდვების კომიტეტი, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და შესაბამისობის კომიტეტი, საოპერაციო რისკებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კომიტეტები.

კომიტეტების შემადგენლობა

■ თავჯდომარე ■ წევრი	აუდიტის კომიტეტი	საკრედიტო კომიტეტი	რისკის კომიტეტი	ანაზღაურების კომიტეტი
მურათ ბილგიჩი				
მეჰმეთ შენჯან				
ჯან იუჯელ				
იავუზ ერგინ				
ჰუსეინ სერდარ იუჯელი				
სეზგინ ლულე				
ონურ ქუთუქი				

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

2018 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტების სხდომებზე დასწრების მაჩვენებელი

საბჭოს სხდომაზე დასწრება	სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილი ა დაესწროს/ფაქტობრივი დასწრება	აუდიტის კომიტეტი უფლებამოსილია დაესწროს/ფაქტობრივი დასწრება	საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია დაესწროს/ფაქტობრივი დასწრება	რისკის კომიტეტი უფლებამოსილია დაესწროს/ფაქტობრივი დასწრება	ანაზღაურების კომიტეტი უფლებამოსილია დაესწროს/ფაქტობრივი დასწრება
მურათ ბილგიჩ	13/13	-	22/22	2/2	-
მეჰმეთ შენჯან	13/13	-	22/22	5/5	1/1
ჯან იუჯელ	13/13	3/3	26/26	2/2	-
იავუზ ერგინ	13/13	4/4	22/21	-	1/1
ჰუსეინ სერდარ იუჯელი	5/5	3/3	14/14	3/3	1/1
სეზგინ ლულე	5/5	-	15/15	3/3	-
ონურ ქუთუქი	5/5	-	15/15	-	1/1
ჯემ ქაიან*	8/8	1/1	8/8	-	-
ქემალ შაჰინ*	8/3	-	11/10	-	-
აჰმეთ ნაჯი ნარშაფი*	8/8	1/1	10/10	-	-

* ჯემ ქაიან, ქემალ შაჰინ და აჰმეთ ნაჯი ნარშაფი სს „იშბანკი საქართველო“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იყვნენ 2018 წლის ივნისამდე.

1. ქემალ შაჰინ ვერ დაესწრო სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს პირადი მიზეზებიდან გამომდინარე.
2. ჯემ ქაიან და აჰმეთ ნაჯი ნარშაფი აუდიტის კომიტეტის წევრები იყვნენ 2018 წლის ივნისამდე, ხოლო ივნისის შემდეგ ისინი შეცვალეს ჰუსეინ სერდარ იუჯელმა და ჯან იუჯელმა.
3. სესხები 1.5 მილიონ დოლარამდე მტკიცდება საკრედიტო კომიტეტის მიერ, ხოლო 1.5 მილიონ დოლარზე ზევით სესხები სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
4. ქემალ შაჰინ და იავუზ ერგინ ვერ დაესწრნენ საკრედიტო კომიტეტის სხდომებს პირადი მიზეზებიდან გამომდინარე.
5. მურათ ბილგიჩ და ჯან იუჯელ რისკის კომიტეტის წევრები იყვნენ 2018 წლის ივნისამდე, ხოლო ივნისის შემდეგ ისინი შეცვალეს ჰუსეინ სერდარ იუჯელმა და სეზგინ ლულემ.
6. 2018 წელს გაიმართა ერთი ანაზღაურების კომიტეტის სხდომა.

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ბატონი **იავუზ ერგინი** იკავებს ბანკის აქციონერის, სს თურქეთის იშ ბანკის (სტამბოლი, თურქეთი) უმაღლესი მენეჯმენტის მრჩევლის თანამდებობას. მისი ძირითადი უფლება-მოვალეობები მოიცავს საკონსულტაციო (არააღმასრულებელ) ფუნქციებს სს თურქეთის იშ ბანკის საერთაშორისო ბიზნეს საქმიანობასა და უცხო ქვეყნებში არსებული შვილობილი ბანკებთან დაკავშირებით.

ბატონი იავუზ ერგინის ბიოგრაფიული მონაცემების შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „კომერციული ბანკების კორპორატიული მართვის კოდექსის“ მეორე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის კრიტერიუმებს და არ არსებობს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომლის გამოც კანდიდატი შეიძლება არღვევდეს/არ შეესაბამებოდეს რომელიმე კრიტერიუმს. შესაბამისად, ბატონი იავუზ ერგინი სს „იშბანკი საქართველო“-ს აქციონერის მიერ შეირჩა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრობის კანდიდატად.

რისკის მართვა

სტრატეგია

ყოველი წლის ბოლოს ბანკი ანხორციელებს მიმდინარე სიტუაციის დეტალურ შეფასებას და ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს ბანკის სტრატეგიას შემდგომი სამი წლისათვის. ბანკის სტრატეგია დეტალურად აღწერს იმ ძირითად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ბანკი გეგმავს მისი ძირითადი გეგმებისა და შედეგების მიღწევას. 2019 წლის დასაწყისში ბანკმა განსაზღვრა სტრატეგია 2019 – 2021 წლებისათვის. 2021 წლისათვის განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის ბანკი ძირითად ორიენტირებულია შემდეგ პრინციპებზე:

- **განვითაროს და შეთავაზოს ციფრული პროდუქტების ფართო არჩევანი.** ბანკი გეგმავს მომხმარებლისათვის მაქსიმალურად განვითარებული ონლაინ მომსახურების შეთავაზებას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია თითოეული კლიენტისათვის, ე.წ. „დრო ფულია“-ს პრინციპის გათვალისწინებით.
- **მიზიდოს და გაზარდოს მომხმარებელთა ბაზა** მრავალფეროვანი პროდუქტების შეთავაზებით მოქნილი პირობებითა და კონკურენტული ფასებით. რადგან ბანკი ეკონომიკურად ძირითადად დამოკიდებულია მშობელ კომპანიაზე, იგი აპირებს გამოიყენოს მისი მაღალი რეპუტაცია და სანდოობა ფინანსური რესურსების კონკურენტულ ფასებში მოსაზიდად. ამ მიმართულების განვითარებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია კვალიფიციური თანამშრომლები გაყიდვების მიმართულებით, რაშიც ბანკი გეგმავს მნიშვნელოვან ინვესტიციას.
- **დივერსიფიკაცია და კონცენტრაციის რისკის მინიმალური დონე**, რადგან მენეჯმენტი ფიქრობს, რომ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მძლავრი იარაღი მდგრადი განვითარებისა და სტაბილური ზრდისათვის.

2019 -2021 წლების სტრატეგია დადასტურდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. მენეჯმენტმა განსაზღვრა სტრატეგიის განხორციელების გეგმა, პროცესის ეფექტური კონტროლისათვის. გეგმებიდან მნიშვნელოვანი ჩამორჩენის თავიდან ასაცილებლად, მენეჯმენტი ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებს პროცესს და წარუდგენს მიმდინარე სტატუსს აღმასრულებელ და სამეთვალყურეო საბჭოებს.

ძირითადი რისკები

ბანკის სტრატეგიიდან გამომდინარე, რისკების ეფექტური მართვა მნიშვნელოვანი გამოწვევა ხდება, რადგან გარემო, სადაც ბანკი ოპერირებს, ხასიათდება განვითარებადი ბაზრების სპეციფიკაციით. ძირითადი რისკები, რომლის წინაშეც ბანკი დგას, დაკავშირებულია საბაზრო, საკრედიტო, ლიკვიდურობისა და საოპერაციო რისკებთან.

რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია ბანკის წინაშე არსებული რისკების განსაზღვრა, გაანალიზება და მართვა, სათანადო საკრედიტო ლიმიტებისა და კონტროლის მექანიზმების დაწესება, რისკის დონეების მუდმივი მონიტორინგი და ლიმიტების დაცვა. რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულად გადაიხედება, რომ ასახავდეს საბაზრო პირობებში და ბაზარზე შეთავაზებულ პროდუქტებსა და მომსახურებებში მომხმარებელ ცვლილებებს და ახალ საუკეთესო პრაქტიკას. ხელმძღვანელობის ზოგადი პასუხისმგებლობაა რისკის მართვის სისტემის ზედამხედველობა, ძირითადი რისკების მართვის გაკონტროლება, თავისი რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა და ასევე დიდი კრედიტების დამტკიცება.

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს რისკის შემცირების ზომების მონიტორინგსა და დანერგვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი საქმიანობდეს რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. რისკის მართვის დირექტორი პასუხისმგებელია რისკის ზოგადი მართვისა და შესაბამისობის ფუნქციებზე, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რისკების განსაზღვრის, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების საყოველთაო პრინციპებისა და მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფაზე. იგი პირდაპირ ხელმძღვანელობის წინაშე ანგარიშვალდებული.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები, როგორც პორტფელის, ისე გარიგებების დონეზე, იმართება და კონტროლდება საკრედიტო კომიტეტების სისტემის, რისკების მართვის განყოფილების და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის მიერ.

რისკის მართვა (გაგრძელება)

მთელი ორგანიზაციის მასშტაბით ხდება გარე და შიდა რისკის ფაქტორების განსაზღვრა და მართვა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკის ფაქტორების სრული სპექტრისა და რისკის შემცირების არსებული პროცედურების რწმუნების დონის განსაზღვრას.

რისკების დეპარტამენტი კვარტალში ერთხელ წარუდგენს რისკების შესახებ დეტალურ ანგარიშს დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს. აღნიშნული ანგარიში მოიცავს ყველა აუცილებელ ინფორმაციას ბანკის რისკის შესაფასებლად და დასკვნების გასაკეთებლად, კერძოდ მოიცავს ბოლო კვარტალის ქვეყნის ეკონომიკურ მიმოხილვას, საბანკო სექტორში მიმდინარე ტრენდების შესახებ ინფორმაციას, ბანკის საკრედიტო, ლიკვიდურობის, ღია სავალუტო პოზიციის, საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო და რეპუტაციულ რისკებს, ლიკვიდურობის, კაპიტალიზაციის და სხვა კოეფიციენტებს, მთავარი რისკის პროფილის ცვლილებებს, ინფორმაციას რეზერვების, აქტივ-პასივების სტრუქტურის და საპროცენტო მარჟის ცვლილებების შესახებ.

ბანკი ახორციელებს სტრეს ტესტირებას თითოეული შესაფასებელი პერიოდისთვის, რომელიც მოიცავს უარყოფითი სცენარების კომბინაციის ზემოქმედების მოდელირებას. სტრეს სცენარებია: ლარის გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებაში, საბაზრო კონკურენციით გამოწვეული სუფთა საპროცენტო მარჟის შემცირება, საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესება, ნასესხები სახსრების და ბანკების დეპოზიტების გაძვირება. სტრეს ტესტის სცენარები შემდეგ განიხილება ბანკის მომგებიანობისა, კაპიტალის ადეკვატურობისა და გადახდისუნარიანობასთან მიმართებაში. სტრეს ტესტირება ასევე ითვალისწინებს ისეთი შემამსუბუქებელი ღონისძიებების ხელმისაწვდომობასა და სავარაუდო ეფექტიანობას, როგორცაა საოპერაციო ხარჯების შემცირება, ასევე, იმ დაშვებას, რომ ბანკი შეძლებს გააგრძელოს ან რეფინანსირება გაუკეთოს არსებულ სესხებს, რადგან თავიდან იქნას აცილებული ან შერბილდეს ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებით გამოვლენილი რისკების ზემოქმედება ან წარმოქმნა.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკების მართვის პროცესების ეფექტიანობის კონტროლსა და შეფასებაზე. სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს და თვალყურს ადევნებს ბანკის რისკის მართვის ფუნქციას.

რისკის ეფექტური მართვის სისტემა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- რისკის იდენტიფიკაცია
- რისკის შეფასება
- რისკის მართვა, მისაღები დონის დადგენა და მონიტორინგი
- რისკის მიტიგაცია
- რისკის რეპორტირება
- რისკის მართვის სისტემის ეფექტიანობის ანალიზი

რისკის იდენტიფიკაცია არის რისკის მართვის განყოფილების პასუხისმგებლობა. რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხდება ბანკის მიერ დადგენილი რისკის პარამეტრების საფუძველზე. რისკის პარამეტრები მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ რისკის ინდიკატორებს, ადგენს ზღვრებს იდენტიფიცირებული რისკებისთვის და ასახავს რისკის იმ დონეს რომელიც ბანკისთვის მისაღებია. საკრედიტო რისკის შესამცირებლად ბანკი იყენებს უზრუნველყოფას, თავდებობას და გარანტიას. რისკის ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ყველა რისკის შესახებ რაც დგას ბანკის წინაშე, კვარტალში ერთხელ წარედგინება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებზეც მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ბაზრის ცვალებადობა და საბაზრო ფასებისა და სავალუტო კურსების მერყეობის დონის ცვლილება.

საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლებში და, ამასთანავე, რისკისა და უკუგების ოპტიმიზაცია.

ბანკი თავის საბაზრო რისკს მართავს ღია პოზიციის ლიმიტების დაწესებით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, საპროცენტო განაკვეთების ვადიანობისა და სავალუტო პოზიციებისთვის. მათი მონიტორინგი ხდება რეგულარულად და გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ..

რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასების ან განაკვეთების, მათ შორის გაცვლითი კურსის ან საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით ან მათი არასტაბილურობით გამოწვეული ზარალის რისკი. რადგან ბანკის სტატეგია არაა ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობა და ინვესტიციების განხორციელება, საბაზრო რისკები რომლების წინაშეც ბანკი დგას მოიცავს მხოლოდ სავალუტო და საპროცენტო რისკებს.

სავალუტო რისკი უკვეშირდება ბანკის რეგულარულ საქმიანობას და წარმოიქმნება ღია ან არაპეჯირებული პოზიციებიდან კონკრეტულ ვალუტაში გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად. სავალუტო რისკის მართვის და შემცირების მიზნით ბანკი აკონტროლებს ღია სავალუტო პოზიციას და მის შესამაბისობას სეზ-ის და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ლიმიტებთან.

მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების რისკი

ქვეყანაში მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. ეკონომიკური ზრდის შემცირება უარყოფითად მოქმედებს მსესხებლების გადახდისუნარიანობაზე და ამცირებს მოთხოვნას საკრედიტო პროდუქტებზე, რაც ამცირებს ბანკის მომგებიანობას და საკრედიტო პორტფელის ხარისხს. ბანკის საქმიანობაზე ასევე უარყოფითად მოქმედებს მაღალი და არასტაბილური ინფლაცია, სავალუტო კურსის მერყეობა, უმუშევრობის ზრდა, უძრავი ქონების ფასების შემცირება, საინვესტიციო გარემოს გაუარესება. გარდა ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური მდგომარეობისა, ბანკზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თურქეთში მიმდინარე მაკროეკონომიკური მოვლენები, ერთის მხრივ იმის გამო რომ ბანკის დედა კომპანია თურქეთში ფუნქციონირებს, და მეორეს მხრივ იმის გამო რომ თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა.

ბანკი ახორციელებს მაკროეკონომიკური შოკების პოტენციური გავლენის შეფასებას ბანკის კაპიტალსა და პორტფელის ხარისხზე სტრეს ტესტების მეშვეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. საპროცენტო მარჟები შეიძლება ასეთი ცვლილებების გამო გაიზარდოს, მაგრამ ასევე შეიძლება შემცირდეს, ან წარმოქმნას ზარალი მოულოდნელი მერყეობის შემთხვევაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი შესაძლო ზარალისა, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით გამოწვეული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების ან აქტივებისა და ვალდებულებების ვადებს შორის განსხვავების შედეგად. საპროცენტო რისკის სამართავად ბანკი აკონტროლებს და ინარჩუნებს თავის საპროცენტო განაკვეთებს, ისეთ დონეზე რაც უზრუნველყოფს საოპერაციო ხარჯების და რისკის პრემიუმის დაფარვას და ასევე მონიტორინგს უწევს საპროცენტო პოზიციებს.

სავალუტო რისკი

ბანკის აქტივები და ვალდებულებები გამოხატულია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. ბანკი მუდმივად აკონტროლებს, რომ სეზ-ის სავალუტო პოზიციების ლიმიტები საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებით დაცული იყოს..

სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკი მნიშვნელოვანია ბანკისთვის, რადგან ბანკის პორტფელის უდიდესი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და ვალუტის მერყეობა გავლენას ახდენს მსესხებლების გადახდისუნარიანობაზე. ამ რისკის შესამცირებლად, ბანკი უცხოურ ვალუტაში სესხის გაცემისას არაპეჯირებულ მსესხებლებზე კონსერვატიულ მიდგომას იყენებს.

რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ბანკის ფინანსური ზარალის რისკი, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტი ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ბანკს დანერგილი აქვს პოლიტიკა და პროცედურები საკრედიტო რისკის სამართავად (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივების, ისე აუდიარებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში), მათ შორის პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის წესები, და ჩამოყალიბებული აქვს საკრედიტო კომიტეტი, რომ აქტიურად გააკონტროლოს საკრედიტო რისკი. საკრედიტო პოლიტიკა გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა ადგენს:

- სასესხო განაცხადების შემოწმების და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებელთა (იურიდიული და ფიზიკური პირები) კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდებს;
- უზრუნველყოფის საგნის შეფასების მეთოდებს;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო დავალიანებების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეყრდნობა საკრედიტო პოლიტიკით დადგენილ ლიმიტებს. ყველა სესხს ჯერ ბანკის საკრედიტო კომიტეტი ამტკიცებს. საბოლოო გადაწყვეტილებას 750,000 აშშ დოლარამდე სესხის დამტკიცებაზე იღებს ბანკის დირექტორთა საბჭო, 750,000 აშშ დოლარიდან 1,500,000 აშშ დოლარამდე სესხები მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს საკრედიტო კომიტეტის მიერ, ხოლო 1,500,000 აშშ დოლარზე მეტი თანხის სესხები მტკიცდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

იურიდიული პირისთვის ნებისმიერი სესხის გაცემამდე ბანკი მომხმარებლის ბიზნესისა და ფინანსური შედეგების კომპლექსურ შემოწმებას ატარებს. საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ნაწილობრივ ხორციელდება უზრუნველყოფის საგნისა და პირადი თავდებობების მიღებით. ზემოაღნიშნული სესხების უზრუნველყოფის საგანს აფასებენ დამოუკიდებელი ექსპერტები. საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა, როგორც წესი, აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და აუდიარებული სახელშეკრულებო ვალდებულებების თანხებში. პოტენციური საკრედიტო რისკის შესამცირებლად აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა მნიშვნელოვანი არ არის..

ბანკისათვის საკრედიტო რისკის მიტიგაციის ერთადერთი საშუალება არის მსესხებლების ან მათთან დაკავშირებული მხარეების მიერ განთავსებული დეპოზიტები სესხების უზრუნველყოფისათვის. ასეთ დეპოზიტებს აქვთ სესხის შესაბამისი ვადიანობა და მოცულობა, საკრედიტო რისკი რომ სრულად იყოს მიტიგირებული.

საკრედიტო რისკი არის მსესხებლის ან კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არასათანადოდ შესრულებით გამოწვეული ზარალის რისკი. საკრედიტო რისკი არის ყველაზე მატერიალური რისკი რაც ბანკის წინაშე დგას, რადგან ბანკის ძირითად საქმიანობას დაკრედიტება წარმოადგენს.

საკრედიტო რისკის მართვის და მონიტორინგის პრონციპები განსაზღვრულია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკით, რომელიც განიხილება და ახლდება პერიოდულად. საკრედიტო რისკის სამართავად ბანკს დაწესებული აქვს დასაშვები ლიმიტები და ასევე იცავს სეზ-ის მიერ განსაზღვრული პოზიციების ლიმიტებს. ასევე, ბანკს ჩამოყალიბებული აქვს საკრედიტო კომიტეტი, რომ აქტიურად გააკონტროლოს საკრედიტო რისკი.

საკრედიტო პოლიტიკა ადგენს:

- სასესხო განაცხადების შემოწმების და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებელთა (იურიდიული და ფიზიკური პირები) კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდებს;
- უზრუნველყოფის საგნის შეფასების მეთოდებს;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

რისკის მართვა (გაგრძელება)

- სესხებისა და სხვა საკრედიტო დავალიანებების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეყრდნობა საკრედიტო პოლიტიკით დადგენილ ლიმიტებს. ყველა სესხს ჯერ ბანკის საკრედიტო კომიტეტი ამტკიცებს. საბოლოო გადაწყვეტილებას 1,000,000 აშშ დოლარამდე სესხის დამტკიცებაზე იღებს ბანკის დირექტორთა საბჭო, 1,000,000 აშშ დოლარიდან 1,500,000 აშშ დოლარამდე სესხები მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს საკრედიტო კომიტეტის მიერ, ხოლო 1,500,000 აშშ დოლარზე მეტი თანხის სესხები მტკიცდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო რისკის შემადგენელია კონცენტრაციის რისკი და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ პორტფელთან დაკავშირებული სავალუტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ლიკვიდურობის მართვისთვის. სრული შესაბამისობა ფინანსური დაწესებულებებისთვის უზრუნველყოფს, რადგან ბიზნესსაქმიანობა ხშირად წინასწარ განუსაზღვრელი ვადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს ზარალის რისკი.

ბანკი ლიკვიდურობას მართავს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს, რათა დროულად დაფაროს ყველა ფულადი ვალდებულება. ლიკვიდურობის პოლიტიკა გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

ბანკი აქტიურად ცდილობს დივერსიფიცირებული და სტაბილური ფინანსური რესურსების ბაზის შენარჩუნებას, რომ შემდგომ სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ საჭიროებებზე.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- დივერსიფიცირებული ფინანსური რესურსების შენარჩუნებას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სასესხო კაპიტალის მოზიდვის გეგმის შენარჩუნებას;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების მონიტორინგს მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ლიკვიდურობის პოზიციის მონიტორინგს ახდენს ფინანსური დეპარტამენტი და რისკის მართვის განყოფილება. ჩვეულებრივ საბაზრო პირობებში, ინფორმაცია ლიკვიდურობის პოზიციის შესახებ ხელმძღვანელობას კვირაში ერთხელ მიეწოდება. ლიკვიდურობის მართვის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს რისკის მართვის განყოფილება და ხელმძღვანელობა, ხოლო ნერგავს ფინანსური განყოფილება.

გარდა ამისა, ბანკი ახდენს სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად გამოთვლილი ლიკვიდურობის კოეფიციენტის რეგულარულ მონიტორინგს.

ლიკვიდობის რისკი არის რისკი რომ ბანკი ვერ შეძლებს დათქმულ ვადებში გადახდის ვალდებულებების დაფარვას ან შეძლებს მაღალი დანახარჯებით. ლიკვიდობის რისკი შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგალითად ფინანსური ბაზრის არასტაბილურობის შედეგად ან სხვა მიზეზის გამო რომელიც გავლენას მოახდენს დაფინანსების რესურსის ფასსა და ხელმისაწვდომობაზე.

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს შემთხვევას როდესაც ბანკი დროულად ვერ ახერხებს მნიშვნელოვანი დანახარჯების გარეშე აქტივების ფულად ფორმაში გადაყვანას ან სახსრების მოზიდვას სხვა წყაროდან.

რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკი ასევე გულისხმობს იმას რომ ბანკმა ვერ უზრუნველყოს პოზიციების დაბალანსება ბაზრის დაბალი ლიკვიდობის ან ზაზარზე შექმნილი რაიმე პრობლემის გამო.

ბანკი ყოველწლიურად შეიმუშავებს დაფინანსების სტრატეგიას რომელიც პერიოდულად გადაიხედება არსებული საბაზრო მდგომარეობის მიხედვით. ლიკვიდობას მართავს და მონიტორინგს ახორციელებს ზაზინა და დამატებით ექვემდებარება კონტროლს რისკების განყოფილების მხრიდან. შესაბამის ლიმიტებს ამტკიცებს აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი და სამეთვალყურეო საბჭო.

ლიკვიდობის რისკის სამართავად ბანკი ყოველდღიურად ახორციელებს ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) მონიტორინგს. ასევე, ბანკი აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს ფლობს მაღალ ლიკვიდური აქტივების სახით, რაც ამცირებს ლიკვიდობის რისკს. ლიკვიდობის რისკის შესამცირებლად ბანკს აქვს რეზერვები, რომელთა მოცულობა განისაზღვრება მოზიდული სახსრების მოცულობის, ვალუტის და ტიპების მიხედვით.

კონცენტრაციის რისკი

კონცენტრაციის რისკი წარმოიქმნება რამდენიმე მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე დიდი მოცულობის პორტფელის შექმნით ან რომელიმე დარგში პორტფელის მაღალი კონცენტრაციით. ინდივიდუალური მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება რომელზეც ბანკს გაცემული აქვს მსხვილი სესხები, მნიშვნელოვნად ზრდის შესაძლო საკრედიტო დანაკარგებს. ასევე, რომელიმე დარგში მიმდინარე უარყოფითმა მოვლენებმა რომელზეც გაცემული სესხებიც ბანკის პორტფელის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს შეიძლება გაზარდოს საკრედიტო დანაკარგები. ამის გამო, კონცენტრაციის რისკის ეფექტურად სამართავად ბანკს განსაზღვრული აქვს ლიმიტები მსესხებლების და ეკონომიკური სექტორების მიხედვით, დეტალურად ანალიზებს მსხვილ მსესხებლებს და მონიტორინგს უწევს ეკონომიკურ სექტორებში მიმდინარე პროცესებს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის სხვადასხვა მიზეზით განპირობებული პირდაპირი ან არაპირდაპირი ზარალის რისკი, რომელიც უკავშირდება ბანკის პროცესებს, თანამშრომლებს, ტექნოლოგიას და ინფრასტრუქტურას, ასევე გარე ფაქტორებით განპირობებული რისკი, გარდა საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკებისა, როგორცაა მაგალითად იურიდიულ და ნორმატიულ მოთხოვნებთან, ასევე კორპორატიული ქცევის საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან დაკავშირებული რისკები. საოპერაციო რისკი წარმოიშობა ბანკის ყოველგვარი საქმიანობიდან. ბანკის მიზანია საოპერაციო რისკის ისე მართვა, რომ ბალანსი დაიცვას ფინანსური ზარალისა და ბანკის რეპუტაციის ზიანის თავიდან არიდებასა და მთლიან ხარჯთეფექტიანობასა და ინოვაციას შორის. ბანკის პოლიტიკა ყველა შემთხვევაში მოითხოვს ყველა მოქმედ იურიდიულ და ნორმატიულ სტანდარტთან შესაბამისობას. ბანკი საოპერაციო რისკს მართავს ისეთი შიდა კონტროლის დანერგვით, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თავისი საქმიანობის ყოველი ასპექტისთვის..

საოპერაციო რისკი არის სისტემების, ადამიანების ან პროცესების არაადეკვატური, შეუსაბამო ან გაუმართავი მუშაობის შედეგად, თაღლითობის ბანკის თანამშრომლის ან გარე პირის მიერ, კიბერშეტევის ან გარე მოვლენების შედეგად დამდგარი ზარალის რისკი.

საოპერაციო რისკების გავლენის შესამცირებლად ბანკი აქტიურად მართავს საოპერაციო რისკებს. ბანკი საოპერაციო რისკებს მართავს და ამცირებს შიდა კონტროლის მექანიზმების მეშვეობით და პოტენციურ რისკებზე რეაგირების საშუალებით. საოპერაციო რისკების მართვა მოიცავს უფლებების, მოვალეობების, წვდომის და ავტორიზაციის ეფექტურ გადანაწილებას, ასევე პროცესების და სისტემების დახვეწას და გაუმჯობესებას.

რეპუტაციული რისკი

რეპუტაციული რისკი არის ბანკის კლიენტების, კონტრაგენტების, აქციონერების, ინვესტორების, მარეგულირებლის და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ბანკის იმიჯის არასათანადოდ აღქმის შედეგად დამდგარი პირდაპირი და არაპირდაპირი ფინანსური ზიანის რისკი. რეპუტაციული რისკის შესამცირებლად ბანკი აკონტროლებს და დროულად და ადეკვატურად რეაგირებს მოვლენებზე რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბანკის რეპუტაციაზე.

რისკის მართვა (გაგრძელება)

ინფორმაცია საკრედიტო რისკის მიტიგაციის შესახებ:

ბანკი საკრედიტო რისკის მიტიგაციის მიზნით სესხის გაცემის სანაცვლოდ მსესხებლებისაგან მოითხოვს უზრუნველყოფის საგანს, თავდებობას ან გარანტიას. ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფების ტიპებია ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების შემთხვევაში უძრავ ქონებაზე იპოთეკა, ავტომანქანა ან მესამე პირის თავდებობა, ხოლო კორპორატიული მსესხებლების შემთხვევაში უძრავი ქონება, მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები, ინვენტარი, დებიტორული დავალიანება და მშობელი კომპანიის თავდებობა. შემოთავაზებული უზრუნველყოფის შეფასება ხდება ბანკის შიდა ან გარე შემფასებლის მიერ.

უზრუნველყოფის შეფასებისა და მართვის ძირითადი პოლიტიკა და პროცედურები:

უზრუნველყოფის შეფასებისა და მართვის პროცედურები რეგულირდება უძრავი ქონების შეფასების პოლიტიკით, რომელიც დამტკიცებულია ბანკის დირექტორთა საბჭოს რისკის კომიტეტის მიერ და შესაბამისობაშია ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციის და შეფასების საერთაშორისო სტანდარტებთან (IVS).

უძრავი ქონების შეფასების პოლიტიკა განსაზღვრავს შეფასების პრინციპებს, მეთოდებს და არეგულირებს გადაფასების სიხშირეს. უზრუნველყოფის შეფასება ხდება შიდა ან გარე შემფასებლის მიერ. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ბანკთან დაკავშირებულ პირზე სესხის გაცემისას შესაბამისი უზრუნველყოფის შეფასება ხდება გარე შემფასებლის მიერ. გარე შემფასებლის მიერ მომზადებული შეფასების ადეკვატურობას ამოწმებს შიდა შემფასებელი და საჭიროების შემთხვევაში აკორექტირებს შეფასების ღირებულებას მხოლოდ ქვედა მიმართულებით.

უზრუნველყოფის მონიტორინგი ხორციელდება რეგულარულად. უზრუნველყოფის გადაფასება ხდება იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკაში ან უძრავი ქონების ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია, სამ წელზე მეტია გასული წინა შეფასებიდან, მსესხებელზე იზრდება რისკი ან ხდება რესტრუქტურისაცია და ამავდროულად წინა შეფასებიდან ერთ წელზე მეტია გასული. უზრუნველყოფაში მიღებული უძრავი ქონების დაზღვევა ხდება ბანკის სასარგებლოდ.

ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის საშუალებების ძირითადი სახეების მახასიათებლები:

ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის საშუალებების ძირითადი ტიპებია:


- ფულადი დეპოზიტი
- უძრავი ქონება
- მოძრავი ქონება,
- ფინანსური აქტივი
- ძირითადი საშუალებები
- თავდებობა
- გარანტია

მისაღები უზრუნველყოფის ტიპის განსაზღვრა ხდება მსესხებლის საკრედიტო რისკის და საკრედიტო პროდუქტის ტიპის მიხედვით.

ინფორმაცია საკრედიტო რისკის კონცენტრაციის შესახებ მიტიგაციის ინსტრუმენტების მიხედვით:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების 95% უზრუნველყოფილია. პორტფელის ნახევარზე მეტი (55%) უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, ხოლო 20%-ზე ბანკს მიღებული აქვს მესამე პირის გარანტია. ქვემოთ წამოდგენილია საკრედიტო რისკის კონცენტრაცია უზრუნველყოფის სახეების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

რისკის მართვა (გაგრძელება)



უზრუნველყოფაში მიღებული გარანტიებისა და კონტრაგენტების ძირითადი ტიპები:

საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით ბანკს უზრუნველყოფაში მიღებული აქვს საბანკო გარანტიები / კონტრაგენტები. ბანკების რისკების შეფასება ხდება რისკების განყოფილების მიერ.

საკრედიტო რისკის შეფასების მიზნებისათვის ბანკი იყენებს შემდეგი საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტების შეფასებებს (სშგი):

- Standard & Poor's (S&P)
- Moody's
- Fitch Ratings

სშგი-ს შეფასებებს ბანკი იყენებს შემდეგი აქტივების კლასებისთვის:

- უპირობო და პირობითი მოთხოვნები ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ
- უპირობო და პირობითი მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ
- უპირობო და პირობითი მოთხოვნები კორპორატიული კლიენტების მიმართ.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების საკრედიტო შეფასებების სკალა, რომელიც რანჟირებულია სეზ-ის საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით, მოცემულია ცხრილებში ქვემოთ:

ცხრილი 1. აღიარებული გრძელვადიანი რეიტინგები და ექვივალენტური საკრედიტო კატეგორიები

საკრედიტო კატეგორიები	Fitch	Moody's	S&P
1	AAA – AA-	Aaa – Aa2	AAA – AA-
2	A+ – A-	A1 – A3	A+ – A-
3	BBB+ – BBB-	Baa1 – Baa3	BBB+ – BBB-
4	BB+ – BB-	Ba1 – Ba3	BB+ – BB-
5	B+ – B-	B1 – B3	B+ – B-
6	CCC+ – D	Caa1 – C	CCC+ – D

ცხრილი 2. აღიარებული მოკლევადიანი რეიტინგები და ექვივალენტური საკრედიტო კატეგორიები

საკრედიტო კატეგორიები	Fitch	Moody's	S&P
1	F-1	P-1	A-1
2	F-2	P-2	A-1
3	F-3	P-3	A-1
4	სხვა	სხვა	სხვა

რისკის მართვა (გაგრძელება)

- თუ არსებობს მოთხოვნის მიმართ სშგი-ის მხოლოდ ერთი შეფასება, მაშინ ეს რეიტინგი გამოიყენება ამ მოთხოვნის რისკის მიხედვით შესაწონად;
- თუ არსებობს სშგი-ის ორი შეფასება და შეფასებები შეესაბამებიან რისკის მიხედვით სხვადასხვა წონას, მაშინ გამოიყენება მათ შორის ყველაზე მაღალი რისკის წონა;
- თუ არსებობს სშგი-ის სამი შეფასება, რომლებიც შეესაბამებიან რისკის მიხედვით სხვადასხვა წონას, მაშინ შეირჩევა ორი ყველაზე დაბალი რისკის წონა და გამოიყენება მათ შორის ყველაზე მაღალი რისკის წონა.

ანაზღაურება

ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული საკითხები წყდება ანაზღაურების კომიტეტის მიერ. ანაზღაურების ძირითადი პრინციპი ეფუძნება კონკურენტული სამოტივაციო სისტემის შეთავაზებას თანამშრომლებისათვის, რომ იყოს შესაძლებელი მაღალი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვა და შენარჩუნება, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია დასახული მიზნების მიღწევისათვის. ამ დროისათვის ბანკში არ არის რამე განსხვავებული ანაზღაურების სისტემა, მაგრამ ბანკი მუშაობს სამოტივაციო სისტემის შექმნაზე გაყიდვების და არა -გაყიდვებთან დაკავშირებული თანამშრომლებისათვის. ყველა თანამშრომელს აქვს ფიქსირებული ხელფასი და ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი.

	პილარ 3-ის კვარტალური ანგარიშგება	
1	ბანკის სრული დასახელება	სს იშბანკი საქართველო
2	ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	მურათ ზილგინ
3	ბანკის გენერალური დირექტორი	ოზან გური
4	ბანკის ვებ-გვერდი	www.isbank.ge

ბანკის დირექტორატი ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით, წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის აპრილის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს.

ცხრილი N	სარჩევი
1	ძირითადი მაჩვენებლები
2	საბალანსო უწყისი
3	მოგება-ზარალის ანგარიშგება
4	ბალანსგარეშე ანგარიშების უწყისი
5	რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
6	ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ
7	აქტივებსა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ საბალანსო ელემენტებს შორის კავშირები
8	საბალანსო ელემენტების ღირებულებასა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ რისკის პოზიციებს შორის განსხვავებები
9	საზედამხედველო კაპიტალი
9.1	კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები
10	საბალანსო უწყისისა და საზედამხედველო კაპიტალის ელემენტებს შორის კავშირები
11	საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
12	საკრედიტო რისკის მიტეგაცია
13	სტანდარტიზებული მიდგომა - საკრედიტო რისკის მიტეგაციის ეფექტი
14	ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი
15	კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები

ცხრილი 1

ძირითადი მაჩვენებლები

*** სეგ-ის მეთოდოლოგიათა გაანგარიშებული კოეფიციენტები, რომელიც ბაზელის მეთოდოლოგიისგან განსხვავებით, უფრო მეტადაა კონცენტრირებული ლოკალურ რისკებზე. იხილეთ ცხრილი 14. LCR. აღნიშნული წარმოადგენს კომერციული ბანკებისათვის სავალდებულოდ დასაცავ მოთხოვნას, ხოლო ბაზელის მეთოდოლოგიათა დათვლილი მონაცემები წარმოადგენილია საილუსტრაციო მიზნებისათვის.

ბანკი: სს იშბანკი საქართველო
თარიღი: 31-Dec-18

ცხრილი 2		საბალანსო უწყისი			ლარებით		
		საანგარიშგებო პერიოდი			წინა წლის შესაბამისი პერიოდი		
N	აქტივები	ლარი	უცხ.ვალუტა	სულ	ლარი	უცხ.ვალუტა	სულ
1	ნაღდი ფული	1,788,349	3,321,113	5,109,461	1,513,832	2,735,639	4,249,471
2	ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	10,867,874	26,569,608	37,437,481	519,746	28,906,437	29,426,183
3	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	115,773	19,257,543	19,373,315	1,501,391	15,297,583	16,798,975
4	ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	-	-	-	-	-	-
5	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	22,085,386	11,143,671	33,229,057	14,140,877	10,750,392	24,891,269
6.1	მთლიანი სესხები	47,872,935	105,417,650	153,290,586	24,999,294	127,562,782	152,562,076
6.2	მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	-2,506,951	-3,080,301	-5,587,252	-1,993,674	-2,996,305	-4,989,979
6	წმინდა სესხები	45,365,984	102,337,350	147,703,334	23,005,620	124,566,477	147,572,096
7	დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	777,378	663,922	1,441,300	611,772	5,145,439	5,757,212
8	დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება	-	-	-	-	-	-
9	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	-	-	-	-	-	-
10	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	1,419,829	-	1,419,829	1,871,942	-	1,871,942
11	სხვა აქტივები	8,882,535	5,568,870	14,451,405	3,118,184	393,915	3,512,100
12	მთლიანი აქტივები	91,303,107	168,862,076	260,165,183	46,283,364	187,795,883	234,079,247
	ვალდებულებები						
13	ბანკების დეპოზიტები	-	105,883,981	105,883,981	-	51,351,416	51,351,416
14	მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები)	4,893,719	7,079,423	11,973,142	5,229,401	9,477,479	14,706,880
15	მოთხოვნამდე დეპოზიტები	-	-	-	-	-	-
16	ვადიანი დეპოზიტები	612,769	25,510,440	26,123,209	244,080	55,751,454	55,995,534
17	საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები			-			-
18	ნასესხები სახსრები	-	31,772,015	31,772,015	3,000,000	25,310,512	28,310,512
19	დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები	45,060	979,192	1,024,252	12,611	5,265,430	5,278,040
20	სხვა ვალდებულებები	8,270,781	407,293	8,678,073	2,566,394	266,555	2,832,948
21	სუბორდინირებული ვალდებულებები	-	-	-	-	41,475,200	41,475,200
22	მთლიანი ვალდებულებები	13,822,329	171,632,343	185,454,672	11,052,485	188,898,045	199,950,530
	სააქციო კაპიტალი						
23	ჩვეულებრივი აქციები	69,161,600		69,161,600	30,000,000		30,000,000
24	პრივილეგირებული აქციები	-		-	-		-
25	მინუს: გამოსყიდული აქციები	-		-	-		-
26	საემისიო კაპიტალი	-		-	-		-
27	საერთო რეზერვები	-		-	-		-
28	გაუნაწილებელი მოგება	5,548,911		5,548,911	4,128,717		4,128,717
29	აქტივების გადაფასების რეზერვები	-		-	-		-
30	სულ სააქციო კაპიტალი	74,710,511		74,710,511	34,128,717		34,128,717
31	მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი	88,532,840	171,632,343	260,165,183	45,181,202	188,898,045	234,079,247

ბანკი: სს იზანკი საქართველო
თარიღი: 31-Dec-18

გვრილი 3		მოგება - ზარალის ანგარიშგება			ლარებით		
N		საანგარიშგებო პერიოდი			წინა წლის შესამადისი პერიოდი		
		ლარი	უცხ. ვალუტა	სულ	ლარი	უცხ. ვალუტა	სულ
	საპროცენტო შემოსავლები						
1	საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით	624,716	11,252	635,968	620,668	407,098	1,027,766
2	საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან	10,387,426	1,413,095	11,800,520	4,036,089	13,264,473	17,300,562
2.1	ბანკთაშორის სესხებიდან	0	174,564	174,564	0	0	0
2.2	ვაკუბისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან	9,190,730	486,782	9,677,512	3,363,154	11,101,802	14,464,956
2.3	ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან			0			0
2.4	სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან			0			0
2.5	მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან			0			0
2.6	სამთიომშოვენელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან			0			0
2.7	ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან			0			0
2.8	ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან	1,196,696	751,749	1,948,445	672,935	2,162,671	2,835,606
2.9	დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან	0	0	0	0	0	0
3	შემოსავლები გარემოებიდან/საურავებიდან კლიენტებისათვის მიცემული სესხების მიხედვით	0	0	0	198	0	198
4	საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან	1,105,955	767,372	1,873,327	662,099	0	662,099
5	სხვა საპროცენტო შემოსავლები	0		0	0		0
6	მთლიანი საპროცენტო შემოსავლები	12,118,096	2,191,719	14,309,816	5,319,054	13,671,572	18,990,625
	საპროცენტო ხარჯები						
7	მოთხოვნაზე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	107,609	0	107,609	42,525	0	42,525
8	ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	982,468	0	982,468	1,643,877	918,180	2,562,057
9	ბანკის დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	265,482	1,572,189	1,837,670	4,260	4,470,994	4,475,254
10	საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები	0	0	0	0	0	0
11	ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები	199,085	2,975,270	3,174,355	28,415	3,486,726	3,515,141
12	სხვა საპროცენტო ხარჯები	0		0	0		0
13	მთლიანი საპროცენტო ხარჯები	1,554,644	4,547,459	6,102,103	1,719,077	8,875,900	10,594,977
14	წმინდა საპროცენტო შემოსავალი	10,563,452	-2,355,740	8,207,712	3,599,977	4,795,672	8,395,649
	არასაპროცენტო შემოსავლები						
15	წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით	-83,492	0	-83,492	830,427	0	830,427
15.1	საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით	1,282,116		1,282,116	1,708,280	0	1,708,280
15.2	საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით	1,365,608		1,365,608	877,852	0	877,852
16	მიღებული დივიდენდები	0		0	0		0
17	მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან	0		0	0		0
18	მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	0		0	0		0
19	მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	705,712		705,712	718,857		718,857
20	მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	948,505		948,505	89,090		89,090
21	მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან	0		0	0		0
22	სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები	596,130		596,130	38,052	212,079	250,132
23	სხვა არასაპროცენტო შემოსავლები	0		0	4,988	0	4,988
24	მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები	2,166,856	0	2,166,856	1,681,415	212,079	1,893,494
	არასაპროცენტო ხარჯები						
25	სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები	0		0	0		0
26	ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები	177,211		177,211	275,211		275,211
27	ბანკის პერსონალის ხარჯები	4,635,462		4,635,462	4,568,170		4,568,170
28	ძირითადი საშუალებების საქონლუაგტაციო ხარჯები	19,372		19,372	23,476		23,476
29	ცვლითა და ამორტიზაციის ხარჯები	721,321		721,321	666,468		666,468
30	სხვა არასაპროცენტო ხარჯები	1,870,603		1,870,603	2,265,271		2,265,271
31	მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები	7,423,971	0	7,423,971	7,798,597	0	7,798,597
32	წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი	-5,257,115	0	-5,257,115	-6,117,182	212,079	-5,905,102
33	წმინდა მოგება დარეზერვებამდე	5,306,338	-2,355,740	2,950,598	-2,517,205	5,007,751	2,490,546
34	ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	597,273		597,273	-925,060		-925,060
